საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აზრათ ყული-ბეგ მარტყოფელი

აზრათ ყული-ბეგ მარტყოფელი, განჯის სახანოს მმართველი 1778–83. წარმოშობით ქართველი.

ბავშვობაში გაიტაცეს სოფ. მარტყოფიდან და ყარაბაღის ხანს იბრაჰიმს მიჰყიდეს. ტყვე გაამაჰმადიანეს, შეინარჩუნა მხოლოდ თავისი სადაურობა – მარტყოფელი. ბუნებრივი ნიჭისა და ვაჟკაცობის წყალობით მან ჯერ ყარაბაღის სახანოს პირველ ვეზირობას მიაღწია, ხოლო როცა ერეკლე II-მ იბრაჰიმ-ხანთან ერთად 1778 განჯის სახანო აიღო, ა. ყ. მ., ქაიხოსრო ანდრონიკაშვილთან ერთად განჯის მმართველი გახდა. ამ თანამდებობაზე ქაიხოსრო ერეკლე მეფემ დანიშნა, ხოლო ა. ყ. მ – იბრაჰიმ-ხანმა.

წყარო: თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ლ. მიქიაშვილის *გამოც.*, თბ., 1983.

ლიტ.: მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი ა., მარტყოფის წარსული და აწმყო, თბ., 1971.

ა. მათიაშვილი